

**გაეროს ეროვნული სააგენტოს აჭარის რეგიონალური ოფისის მისამართი**

დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების ქარი - 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 14-19, შიდა-თიან რაიონებში - 12-17 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 13 გრადუსია, ატმოსფერული წნევა - 758 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი.

**პირილოსა N იუსი**

„შეღვათიანი აგროკრედიტის“ პროექტის ქვეკომპონენტი ამოქმედდა, რომლითაც ერთწლიანი კულტურების მოყვანის მიმდინარე ხარჯების დაფინანსების მიზნით გაცემული სესხის პროცენტის თანადაფინანსებას სოფლის განვითარების სააგენტო განახორციელებს. გადაწყვეტილება გუშინ, საქართველოს მთავრობის სხდომაზე მიიღეს. „სააგენტო მოახდენს ქვეკომპონენტის ფარგლებში გაცემული სესხის არა უმეტეს 12 თვის პროცენტის თანადაფინანსებას წლიური 9%-ის ოდენობით, სესხის გაცემიდან არა უმეტეს 14 თვის განმავლობაში, მას შემდეგ, რაც ბენეფიციარი დაადასტურებს სესხის მიზნობრივად ხარჯვას. ერთ ბენეფიციარზე გაცემული სესხის თანხა 10,000 ლარიდან 100,000 ლარის ჩათვლით განისაზღვრება.“ - აღნიშნულია მთავრობის მიერ გაგვრცელებულ ინფორმაციაში.

„ქართული ოცნების“ ხელისუფლების დროს საქართველოსა და ნატოს შორის ურთიერთობა არის ყველაზე მჭიდრო, - განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილმა. „2014 წლიდან ჩვენ ვართ „გაფართოებული შესაძლებლობების“ მონაწილე. შედეგითაა, ფინეთთან, ავსტრალიასთან და იორდანიასთან ერთად, მესხეთე ვიყავით, რომელიც არაწევრი ქვეყანაა ნატოსი და მჭიდრო ურთიერთობები გვაქვს სწორედ ამ გაფართოებული ჯგუფის სახით. არა უკანაა, არა მოდერნი, რომელსაც მართლაც ნეიტრალიტეტი აქვს გამოცხადებული, არამედ საქართველო 2014 წლიდან ამ ჯგუფის წევრია და იცით, რომ ამ ჯგუფიდან ორი უკვე გახდა ნატოს წევრი და ერთიც მალე გახდება“, - განაცხადა პაპუაშვილმა.

დამოუკიდებელი დებუტატი ხატია დეკანოიძე აცხადებს, რომ დასანქცირებული მოსამართლეები მმართველი პარტიის წარმომადგენლებს აშინტაუბენ. „ისინი გადაეფარნენ დასანქცირებულ მოსამართლეებს. ფაქტია, რომ სასამართლო კლანი აშინტაუბებს ხელისუფლებას. ეუბნებიან: თუ რამეს იტყვით და არ დაგვიცავთ, შექმნით კომისიას, ჩვენ გამოვალთ და ვიტყვით ყველაფერს, იმ უკანონობას, რაც ჩვენ გავაკეთეთ თქვენ გამო“, - აცხადებს დეკანოიძე. ოპოზიცია სასამართლოზე საგამოძიებო კომისიის შექმნას 2 მაისის პლენარულ სხდომაზე კიდევ ერთხელ შეეცდება. „ქართული ოცნება“ მოსამართლეების სოლიდარობას განაგრძობს.

თბილისში, პირველი რესპუბლიკის მოედანზე გამართულ აქციაზე ორგანიზატორებმა რამდენიმე მოთხოვნა გააუღერეს, მათ შორის ერთერთია „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის პერიოდისთვის შესაბამისი პოლიტიკური და სამართლებრივი შეფასების მიცემა, ასევე, საქართველოში ლგბტ პრობლემების აკრძალვა.

**დუბაის საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაზე აჭარის ტურისტულ შესაძლებლობებს გაეცნენ**

**დაბრინა ბაბაიძე 514 22 22 80**

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიუვაძემ საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაზე - „ATM dubai“-ს გახსნაში მიიღო მონაწილეობა, სადაც აჭარის ტურისტულ შესაძლებლობებს 150 ქვეყნის წარმომადგენლები გაეცნენ. ამის შესახებ ინფორმაციას აჭარის მთავრობის პრეს-სამსახური ავრცელებს.

საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაზე „ATM dubai“ 150 ქვეყნის 2000-ზე მონაწილე წარმომადგენელი. აჭარის ტურისტულ შესაძლებლობებს მსოფლიოში უმსხვილეს გამოფენაზე აჭარის ტურიზმის დეპარტამენტი ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასთან და ტურისტულ კომპანიებთან ერთად წარმოადგენს.

საერთაშორისო გამოფენაში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე მარიამ ქვრივიშვილი, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციისა და აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის ხელმძღვანელები, საქართველოს ელჩი არაბეთის გაერთიანებულ



საამირობებში პაატა კალანდაძე ესწრებოდნენ. დუბაის საერთაშორისო ტურისტული გამოფენა საქმიანი ტურიზმის კუთხით ერთიერთი უმსხვილესი გამოფენაა მსოფლიოში, რომელშიც ტურიზმის სფეროს წარმომადგენლები, ტურისტული კომპანიები, სასტუმროები, ავიაკომპანიები, მედიისა და სახელმწიფო ორგანიზაციების წარმომადგენლები მონაწილეობენ.

**„ბათუმობა-2023“**

**დაბრინა ბაბაიძე 514 22 22 80**

წლებიანდელი „ბათუმობა“ თვითმმართველ ქალაქად გამოცხადების საიუბილეო თარიღს მიეძღვნა და როგორც ყოველთვის, მრავალფეროვანი ღონისძიებებით აღინიშნა. საზაფხულო თეატრისა და ბულვარის კოლონადების მიმდებარე მთელი დღის განმავლობაში საზაფხულო და სპორტული აქტივობები, კულტურული ღონისძიებები, კლასიკური და თანამედროვე მუსიკის, ქართული ფოლკლორის კონცერტები და გამოფენები გაიმართა.

„ბათუმობის“ აღმნიშვნელ საზეიმო შეხვედრას აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიუვაძე,

ბათუმის მერი არჩილ ჩიქოვანი, აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძე, ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარე რამაზ ჭინჭაბაძე, ადგილობრივი ხელისუფლების წევრები, ბათუმის დამეგობრებული ქალაქების მერები და დელეგაციის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე ბათუმელებს დღესასწაული მიულოცა და „საპატიო ბათუმელი“ წოდებით დაჯილდოების ცერემონიაში მიიღო მონაწილეობა.

„135 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ბათუმს მიენიჭა თვითმმართველი ქალაქის სტატუსი. გულოცავ

„ბათუმობას“ ბათუმელებს და ყველა იმ ადამიანს, ვისაც უყვარს ეს ქალაქი. ყოველდღიურად იზრდება ჩვენი საამაყო ქალაქის ცნობადობა, მისი პოპულარობა საერთაშორისო მასშტაბით. გვაქვს წარმატებები ქალაქის განვითარების, სპორტული, კულტურული, ინფრასტრუქტურული მიმართულებით. ეს არის თავდაუზოგავი შრომის შედეგი, რისთვისაც მადლობა მინდა გადავუხადო ყველა იმ ადამიანს, რომელიც მონაწილეობს წარმატების ამ ისტორიის შექმნაში.

განსაკუთრებით მახარებს ის, რომ ბათუმის ახალი სტადიონი, რომელიც ნამდვილი ხელოვნების ნიმუშია, უკვე გახდა ნომინანტი ეროვნულ დონეზე და წარდგინ-

ნ. მ-7 33.



ISSN 2720-8702

9 772720 870003

**გამორჩეული გაზეთი «აჭარა»!**

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სა-დისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დანმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 577 20 43 55.



# აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით ბაბაიძე ოქროს მედლით დააჯილდოვდა

დარბაზი ბაბაიძე 514 22 22 80

აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით ბაბაიძე პოლონეთის ლუბუსის სავოევოდოს ქალაქ ზიელონა გორასა და ბათუმს შორის მეგობრული, პარტნიორული ურთიერთობების განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის აჭარაში ოფიციალური ვიზიტით მყოფმა ზიელონა გორას მერმა იანუშ კუბიციკიმ და მერის მოადგილე ვიოლეტა ჰარეზლაკმა ოქროს მედლით დააჯილდოვეს, ამის შესახებ ინფორმაციას აჭარის უმაღლესი საბჭო ავრცელებს.



დავით ბაბაიძემ სტუმრებს მადლობა გადაუხადა ჩვენს რეგიონთან აქტიური თანამშრომლობისთვის და იმედი გამოთქვა, რომ ლუბუსა და აჭარას შორის სამომავლო თანამშრომლობა სხვადასხვა სფეროში კვლავც წარმატებით განვითარდება.

უმაღლესი საბჭოში გამართულ შეხვედრაზე, რომელსაც ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრი ჯაბა ფუტყარაძე და ზიელონა გორას მერიის წარმომადგენლები ესწრებოდნენ, ყურადღება გამახვილდა ლუბუსა და აჭარას შორის საქმიანი ურთიერთობების საკითხებზე.

# ევროპის იმუნოლოგიის კვირეული - აჭარაში

დარბაზი ბაბაიძე 514 22 22 80

ბოლო ერთი კვირის განმავლობაში ჩანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპის რეგიონული ბიუროს ეგიდით ევროპის იმუნოლოგიის კვირეული იმართება.

„შილტონ ბათუმში“ კონფერენცია გამართა, რომელსაც აჭარის ჩანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ნინო ნიუარაძე ესწრებოდა.



გაზრებული იქნეს ვაქცინაციის მნიშვნელობა, რაც უზრუნველყოფს ავადობის შემცირებას, - აღნიშნა კონფერენციაზე აჭარის ჩანმრთელობის მინისტრმა ნინო ნიუარაძემ.

საქართველო ინიციატივას 2007 წლიდან შეუერთდა და აჭარაშიც ფართომასშტაბიანი ღონისძიებებით აღინიშნება. იმუნოლოგიის კვირეულის მთავარი მიზანია პროფილაქტიკურ აცრებზე, როგორც ინფექციური დაავადებებისგან უალტერნატივო პრევენციაზე, საზოგადოების ინფორმირებულობაზე.

„მოხარული ვარ, რომ აჭარა გემური იმუნოლოგიის მარცხენა კვლავ პირველ ადგილზეა. მიმდინარე კვირეულის მიზანია, კიდევ ერთხელ შეგახსენოთ საზოგადოებას, მშობლებს, ორგანიზაციებს, თუ რა მნიშვნელობა აქვს იმუნოპროფილაქტიკას და პრევენციას. საქართველოში იმუნოლოგიის სახელმწიფო პროგრამა მძლავრდება წარმოდგენილი. უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში ხუთი ახალი ვაქცინა დაინერგა. უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ყველა ვაქცინა უფასოა. ჩვენი მიზანია,

# სალოტბარო სკოლა - ქედაში

თამაზ მგზავრიძე 27 48 94

ანზორ ერქომიძის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის დირექტორი გიორგი დონაძე მთიან აჭარაში სალოტბარო ხელოვნების განვითარებას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს. მისი ხელდასმით შუახევში სალოტბარო სკოლა გაიხსნა, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ზურა ვერძაძე ჩაუდგა, შემდეგ კი ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის თანამშრომლობითა და მუნიციპალიტეტის მერი-



ის მხარდაჭერით სალოტბარო სკოლა ქედაშიც გაიხსნა, რომელსაც, ასევე, ზურა ვერძაძე ხელმძღვანელობს. ის და სხვა კვალიფიციური პედაგოგები აღსაზრდელებს უფასოდ შესწავლიან ქართულ ხალხურ სიმღერებსა და საგალობლებს. შესარჩევი მოსმენა 25 აპრილს ქედის კულტურის ცენტრში გაიმართა. მოსმენა გაიხსნა სხვადასხვა ასაკის 45-მა მოსწავლემ.

# ბიბლიოთეკები იხსნება

ვლადიმერ გვახაძე 27 48 93

შუახევის რაიონულ ბიბლიოთეკას დაარსებიდან 70 წელი შეუსრულდა. ამ თარიღს საზეიმო ღონისძიება მიეძღვნა. ბიბლიოთეკის დირექტორმა მზია დავითაძემ, ღონისძიების ორგანიზატორმა ვახტანგ გოგრაძემ დასწრეთ ამ დაწესებულების 70 წლის ისტორია გააცნეს.

დღეებში, დავაღმოსილი ბიბლიოთეკები, ნორჩი მკითხველები, კულტურის ცენტრისა და ბიბლიოთეკის თანამშრომლები, საზოგადოების



წარმომადგენლები ესწრებოდნენ. ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისთვის ბიბლიოთეკარებს სიგელები და სიმბოლური საჩუქრები გადაეცათ. კულტურულ ნაწილში მონაწილეობდნენ ანსამბლი „ნაი“, გოგონათა ბენდი „117“ და ბიბლიოთეკის ნორჩი მკითხველები. პირველი ქონ-სამკითხველო წინა საუკუნის 20-იანი წლების მეორე ნახევარში ჭეანაში გაიხსნა, შემდეგ ოლადაურში, შუბანში, გოგაძეებში, ქიძინიძეებში, დღვანში, ბარბაქაძეებში, ნიგაზულსა და ნაღვარევიში. ახლახან სასოფლო ბიბლიოთეკები 10-მდე სოფელში აღადგინეს.

# საერთაშორისო გამოცდილებას მიიღებენ

დარბაზი ბაბაიძე 514 22 22 80

მიმდინარე წლის აპრილში ახალგაზრდობის რეგიონული ცენტრის „YRC klubis“ წევრები ვროცლავის მუნიციპალიტეტის ეწვივნენ. აღნიშნული ვიზიტის მიზანს მოხალისეებში გამოცდილების გაზიარება

წარმოადგენდა. ერთი კვირის განმავლობაში მოხალისეები ეცნობდნენ პოლონურ კულტურას, ქალაქის ღირსშესანიშნავ ადგილებსა და მუზეუმებს. ვიზიტის ფარგლებში ცენტრის მოხალისეები ვროცლავის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელთან ერთად შეხვედრენ საქართველოს კონსულს, ევროპარლამენტის ხელმძღვანელს, ვროცლავის მერიის წარმომადგენელ ევა გოლაკს და კირკლენდის პროგრამის წარმომადგენლებს.

ასევე, კლუბის წევრები შეხვედრენ პოლონეთში მყოფ ქართველ მოხალისეებს, რომლებიც ვროცლავში ახალგაზრდობის რეგიონული ცენტრის მხარდაჭერით, „EVS Wrocław possibilities know“-ის პროგრამის ფარგლებში იმყოფებიან.

# შაბათ-კვირის ქრონიკა

საქართველოს პრეზიდენტმა, თავდაცვის ძალების დღესთან დაკავშირებით სიტყვით გამოსვლისას აღნიშნა, რომ აუცილებელია აქტიურობა ნატოში საქართველოს გაწევრიანების მიმართულებით; „რუსეთი უნდა დაარქუნდეს, რომ მისი აგრესიული ქმედებები და მუქარით აღსავსე ტონი არანაირ გავლენას არ ახდენს ჩვენს მუდმივ და კონსტიტუციაში ასახულ გადაწყვეტილებასა და ორიენტაციაზე“, - განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა, ქვეყნის პრემიერმა აღნიშნა, რომ ქართული ჯარი წარმოადგენს ჩვენს ქვეყნის დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვის ძლიერ საყრდენს და მთავარ გარანტს. მთავრობის მეთაურმა სამხედროებს ღირსეული სამსახურისთვის მადლობა გადაუხადა. საქართველოს თავდაცვის ძალები 32 წლისაა. ღონისძიება მე-4 ქვეითი ბრიგადის სამწყობრო მოედანზე აღინიშნა.

ბათუმში, ლეონიძის ქუჩაზე ახალაშენებული სპორტკომპლექსის მიმდებარე, აჭარის მთავრობა ჭადრაკის სასახლის მშენებლობას გეგმავს. „თანამედროვე სტანდარტების ჭადრაკის სასახლის მშენებლობის დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის“ შესყიდვისთვის, საგარეულო ღირებულების დასადგენად „აჭარის პროექტების მართვის კომპანია“ ბაზარს იკვლევს. საგარეულო ფასების დადგენის შემდეგ ჭადრაკის სასახლის მშენებლობაზე კომპანია კონკურსს გამოაცხადებს. ტერიტორია, სადაც ჭადრაკის სასახლე უნდა დაპროექტდეს, 8 250 კვადრატული მეტრია და ის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაშია. დანტერესებულ პირებს შეუძლიათ გაცნონ „საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების სახელმწიფო შესყიდვის საკონკურსო დოკუმენტაციის“ და თავიანთი შეთავაზებები კომპანიას წარუდგინონ არა უგვიანეს 2023 წლის 5 მაისისა.

კარტინგში საქართველოს ჩემპიონატის მე-7 ეტაპის გამარჯვებული 16 წლის ბათუმელი ნუცა მახაჭაძე გახდა. ის ჩემპიონატზე ერთადერთი გოგონა იყო. ახალბედა ბილოტმა მასზე გაცილებით უფროსი ასაკის მამაკაცები დაამარცხა. მანამდე კი ქართული კარტინგის აღმოჩენამ, მსოფლიო ჩემპიონატზე საქართველოს სახელით საპრიზო ადგილი მოიპოვა.

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე სამუშაო ვიზიტით არაბთა გაერთიანებულ სამეფოში გაემგზავრა. ვიზიტის ფარგლებში გაიმართა ორმხრივი მაღალი დონის შეხვედრები არაბთა გაერთიანებული სამეფოს მთავრობის წევრებთან, ასევე, საჯარო და ბიზნესწევრების წარმომადგენლებთან. ვიზიტის მიზანი ინვესტიციების მოზიდვა, ქვეყნებს შორის ეკონომიკური და ტურისტული ურთიერთობების გაძლიერებაა. დუბაიში იმართება ტურიზმის ინდუსტრიის ერთ-ერთი უმსხვილესი ტურისტული გამოფენა, რომელშიც აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი მონაწილეობს.





# აგრარული ექსტენსიის საუნივერსიტეტო ცენტრი და სოფლის მეურნეობის საქმეობრივი ეფექტურობის გაზრდის შესაძლებლობა

დარინა ბაბაიძე 514 22 22 80

აშშ-ის ელჩმა კელი დეგანმა, ბსუ-ის რექტორმა მერაბ ხალვაშმა, აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრმა ზაზა შავაძემ და განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა მია ხაჩიშვილმა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ბაზაზე აგრარული ექსტენსიის ცენტრი გახსნეს



აგრარული ექსტენსიის ცენტრის გახსნის მნიშვნელობაზე, მიზანსა და ამოცანებზე გაზეთ „აქარას“ ესაუბრა ბსუ-ის აგრარული მიმართულების მოწვეული ლექტორი მამუკა თურმანიძე.

**- რა უშლის ხელს აჭარაში მცირემწიფიანი ფერმერებისთვის ექსტენსიის მიწოდებას?**

- აჭარაში არსებული სოფლის მეურნეობის მრავალფეროვნებული და მცირემწიფიანი ფერმერების მრავალფეროვანი საკარმიდამო ნაკვეთების არსებობა ართულებს ექსტენსიის მიწოდების შესაძლებლობებს როგორც მასშტაბის, ასევე, ხარისხობრივი თვალსაზრისით. მოცემულ სიტუაციაში სოფლის მეურნეობის სექტორში ეფექტურობის გაზრდა შესაძლებელია მხოლოდ ძლიერი ექსტენსიის არსებობით.

**- ცოდნის მიწოდების რა საშუალება არსებობს სოფლის მეურნეობის დარგში დასაქმებული ადამიანებისათვის?**

- დღეის მდგომარეობით, ჩვენს რეგიონში არსებობს სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ ადამიანებზე ცოდნის მიწოდების რამდენიმე წყარო: პირველი - ეს არის აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ექსტენსიის სამსახური, ასევე, მცენარეთა დაცვის საშუალებების რეალიზატორები, სხვა სასოფლო-სამეურნეო წარმოების საშუალებების მიწოდებლები და სხვადასხვა სახელმწიფო და დონორი ორგანიზაციის პროექტები. ამ წყაროებს, ასევე, ემატება ინტერნეტი და ტელევიზიით მიღებული ინფორმაცია და რჩევები, თუმცა თითოეულ მათგანს აქვს დროებითი, არაერთგვაროვანი, ურთიერთგამომრიცხავი და, ხშირ შემთხვევაში, დამახინჯებული შედეგიც კი.

**- რას გულისხმობს დამახინჯებულობა?**

- ხშირია შემთხვევა, როდესაც ერთი და იგივე აგრარული ინსტიტუტის შესახებ ფერმერი სხვადასხვა წყაროდან ღებულობს ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავებულ ინფორმაციას. ამასთან, ბოლო წლებში გამოიკვეთა სურათი, რომლის მიხედვითაც ექსტენსიაში მონაწილეობს ფერმერების მხოლოდ მალაქასაკობრივი ჯგუფები.

**- ამ შემთხვევაში რამდენად მნიშვნელოვანია უნივერსიტეტის ჩართულობა, თუნდაც ექსტენსიის მიმართულებით?**

- სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ექსტენსიაში უნივერსიტეტის შესაძლებლობების ჩართვაა, რათა უზრუნველყოთ როგორც სა-

მეცნიერო-კვლევითი პოტენციალის მაქსიმალური გამოყენება, ასევე აგრარული მიმართულების სტუდენტი ახალგაზრდების მოზიზება და უნივერსიტეტის სივრცეში სტაბილური „ექსტენსიის სისტემის“ ჩამოყალიბება. უნივერსიტეტის მონაწილეობა ექსტენსიის განხორციელებაში დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ექნება, ვინაიდან მეცნიერების (გვლისხმობ აკადემიური პერსონალს), ახალგაზრდების (დამამთავრებელი კლასის მოსწავლეები, სტუდენტები, კურსდამ-

## ჩვენ ვგეგმავთ სასოფლო-სამეურნეო სადემონსტრაციო პროექტების მოწყობას, ბსუ-ის სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან ერთად და მათი აკადემიური პერსონალის უშუალო ჩართულობით სავსე ცდების და კვლევების (ნიადაგის აგროქიმიური კვლევა, მანებელ-დაავადებების იდენტიფიცირება) განხორციელებას

თავრებულები) ექსტენსიაში ჩართულობა დატვირთავს მას სრულიად ახალი ფუნქციებით, გამრავალფეროვნებს ექსტენსიის მიმართულებას და აამაღლებს მიწოდებული ექსტენსიის ხარისხს.

**- ბსუ-ის წარმომადგენლები გასულ თვეში აშშ-ში იმყოფებოდნენ. რას ემსახურებოდა ეს ვიზიტი?**

- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი მონაწილეობდა აშშ-ის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის (USDA) და ა(ა)იპ „სექტორული პლატფორმა მომავლის ფერმერი“ მიერ ორგანიზებულ ექსტენსიის სასწავლო ტურში, რომლის ფარგლებშიც გამოცდილება გავიზიარეს აშშ-ის (Central State University, Prairie View A&M University) უნივერსიტეტებში. აშშ-ში ექსტენსია წარმოადგენს თანამშრომლობით მოდელს, რაც გულისხმობს უნივერსიტეტების მონაწილეობას და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შედეგების ფერმერულ მეურნეობებში დანერგვას. ამერიკაში ვიზიტისას გადაწყვიტა, რომ იქიდან გვწვეოდნენ ექსტენსიის დარგის სპეციალისტები. შედეგად, 13-17 მარტს აჭარაში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდნენ USDA-ს ვაშინგტონისა და თბილისის ოფისის

წარმომადგენლები, განათლების საერთაშორისო სპეციალისტები, შეერთებული შტატების უნივერსიტეტების: Central State University-ის და Prairie View A&M University-ის ექსპერტები და არასამთავრობო ორგანიზაცია „მომავლის ფერმერის“ ხელმძღვანელები. Central State University-ის და Prairie View A&M University-ის ექსპერტებმა ჩაატარეს ტრენინგები, რომლებშიც მონაწილეობდნენ ადგილობრივი ექსტენსიონისტები, უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, მოსწავლეები და ახალგაზრდა ფერმერები. სწორედ ამერიკელ კოლეგებთან პარტნიორობით და გამოცდილების შედეგად მოხერხდა აგრარული ექსტენსიის პროექტის შემუშავება და „ექსტენსიის საუნივერსიტეტო ცენტრის“ შექმნა. ბსუ-ში ექსტენსიის საუნივერსიტეტო ცენტრის დაარსება იქნება ის ძირითადი ფაქტორი, რომელიც უზრუნველყოფს ექსტენსიის ფარგლებში დააკავშიროს ერთმანეთთან ყველა დაწესებულება და ორგანიზაცია, რომელიც დატვირთულია თვალსაზრისით ახლოსაა ნაექსტენციო მიმართულებებთან.

**- ცენტრის მიზნები და ამოცანები...**

- რა თქმა უნდა, ექსტენსიის სისტემის დახვეწა და ფერმერულ მეურნეობებში წარმოების თანამედროვე ტექნოლოგიების და ინოვაციური მიდგომების დანერგვის ხელშე-

სასოფლო-სამეურნეო მასალების და კვლევების საფუძველზე დატვირთვი სასწავლო ვიდეოების, ბეჭდური მასალის, ელექტრონული რეკომენდაციების, აგროკალენდრების, აგროპოსტერების მომზადება და მათი ფერმერებისა და აგრომეწარმეებისთვის გაზიარება, ბსუ-ის პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის სოფლის მეურნეობის დარგობრივ პროგრამებში ჩართულობა.

**- რამდენად ჩართულნი იქნებიან ლექტორ-სტუდენტები ექსტენსიის მიწოდების პროცესში?**

- მასში ტექნოლოგიური ფაკულტეტის აგრარული მიმართულების ლექტორ-მასწავლებლები, სტუდენტები მაქსიმალურად ჩართვებიან. ასევე, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და მუნიციპალიტეტების ადგილობრივი თვითმმართველობების ჩართულობით, იქნება კომუნიკაცია საჯარო სკოლებთან, სკოლის მოსწავლეების ექსტენსიაში ჩართულობის უზრუნველსაყოფად.

**- ვინ იქნება ჩართული ექსტენსიის საუნივერსიტეტო ცენტრის საქმიანობაში?**

- ექსტენსიის საუნივერსიტეტო ცენტრის საქმიანობაში აქტიურად ჩაერთვებიან აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროგრამის „აგროსექტორის მდგრადი გან-

ვითარება“ ქვეპროგრამის - „საგანმანათლებლო და სამეცნიერო პრაქტიკის დანერგვა“ ფარგლებში, ანაზღაურებულ სტაჟირებაში დასაქმებული სტუდენტები და კურსდამთავრებულები.

**- დაბოლოს, რა მიმართულებით იმუშავებს ექსტენსიის საუნივერსიტეტო ცენტრი?**

- სამეცნიერო კვლევების მიმართულებით, რაც გულისხმობს ბსუ-ის სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების ლაბორატორიებში არსებული კვლევების, ასევე, ტექნოლოგიური ფაკულტეტის აგრარული მიმართულების მიერ შექმნილი ლიტერატურის, სადემონსტრაციო პროექტების და სხვადასხვა თანამედროვე ტექნოლოგიური სიანხლის შედეგების გამოყენებით ექსტენსიის პაკეტების შემუშავებას და მათი შედეგების ექსტენსიის საუნივერსიტეტო ცენტრის ბაზაზე შეგროვებას; ცენტრი იმუშავებს სტუდენტ ახალგაზრდობასა და საჯარო სკოლებთან ურთიერთობის მიმართულებით, რაც უზრუნველყოფს ექსტენსიაში სტუდენტების მონაწილეობას, საჯარო სკოლებთან კომუნიკაციას, თანამედროვე ტექნოლოგიების და ინოვაციური მიდგომების გზით სადემონსტრაციო პროექტების განხორციელებას და მოსწავლეების ჩართულობას; ასევე, აგრარული ექსტენსიის მიწოდებისა და ტრენინგების მიმართულებით, რომელიც განხორციელებს რეგიონში მოქმედი ექსტენსიონისტებისათვის, დარგის სპეციალისტებისათვის, ფერმერებისა და აგრომეწარმეებისთვის ექსტენსიის საუნივერსიტეტო ცენტრში არსებული ექსტენსიის პაკეტების და სხვა საქმიანობების მიხედვით ტრენინგურების მოწყობას, საქმიანობის შემთხვევაში ექსტენსიის მომსახურების მიწოდებას, ჯგუფური, ინდივიდუალური, დისტანციური მეთოდებით; ექსტენსიის დამხმარე საშუალებების გამოყენებას, როგორცაა სავსე სადემონსტრაციო ნაკვეთები, საუკეთესო პრაქტიკა - აგროტური, ბეჭდური მედია, ტელევიზია, სატელეფონო შეტყობინებები, ინტერნეტი და სხვა. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია USDA-ს თბილისის ოფისის წარმომადგენლების ჩართულობის და „მომავლის ფერმერის“ გუნდის მიერ გაწეული საქმიანობა, რომელთა უშუალო ფინანსურმა და პროფესიონალურმა მხარდაჭერამ განაპირობა ის, რომ უნივერსიტეტს შესაძლებლობა მიეცა, ეფექტურად ექსტენსიის მიმართულების განვითარებაზე, რაც, თავის მხრივ, დიდ შესაძლებლობებს შეუქმნის ბსუ-ის აგრარული მიმართულების სტუდენტებს ცოდნის გაღრმავებისა და კვალიფიციურ სპეციალისტებად ჩამოყალიბებისთვის.











# დაწესებულება, სადაც თითოეულ დოკუმენტს რუღუნებით უვლიან

მანანა აბაშიანი 598 24 94 97

აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველო (ხელმძღვანელი - მაია ივანიშვილი) 100 წლის გახდა. საიუბილეო თარიღს რამდენიმე ღონისძიება მიეძღვნა

ბათუმის სახელმწიფო დრამატულ თეატრში გამართულ საზეიმო საღამოს აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე, აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძე, ვიცე-სპიკერი ტიტე არაშიძე, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი მაია ხაჯიშვილი, მოადგილე ბადრი ნაკაშიძე, ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარე რამაზ ჭინჭარაძე, საქართველოს პარლამენტის წევრი რესან კონცელიძე, საქართველოს ეროვნული არქივის გენერალური დირექტორი თეონა იაშვილი დაესწრნენ.

საღამოს უძღვებოდა აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს კულტურის დეპარტამენტის ხელმძღვანელი თამარ გუდავა, რომელმაც შეკრებილთ მოკლედ შეახსენა აჭარაში საარქივო დაწესებულების დაარსების ისტორია.

ტანგ გორგასლის ქ. №126-ში მდებარე სამსართულიან შენობაში, სადაც ამჟამად იმყოფება. დღეს სწორედ ამ შენობაში შეუძლია დაინტერესებულ პირს ნახოს საუკუნის წინანდელი მნიშვნელოვანი ამბები, მოიძიოს და აღმოაჩინოს საინტერესო ისტორიები ცნობილი ადამიანების.

თორნიკე რიჟვაძემ შეკრებილთ საიუბილეო თარიღი მიულოცა და ხაზი გაუსვა საარქივო დაწესებულების დიდ როლს ჩვენს ქვეყნის ისტორიის, წინაპრების საქმიანობის ღირსეულად შენახვის საქმეში, მაღლობა გააღუსხადა თითოეულ არქივისტსა და მათ ხელმძღვანელ მაია ივანიშვილს.

ქალბატონი მაია დაწესებულებას 2014 წლიდან ხელმძღვანელობს. ამ ხნის განმავლობაში ბევრი სასიკეთო საქმე გაკეთდა. მთავრობასთან შეთანხმებით, ათვისეს პროგრამა, რომლის მიხედვით ჩატარდა ყველა საცავის რეაბილიტაცია-რემონტი, მოეწყო სტელაჟები, დამონტაჟდა კონდიციონერები... საკმაოდ გაუმჯობესდა კონდიციონერების მართვა სამუშაო, ისე დოკუმენტების შენახვის პირობები.

2014 წლიდან მიმდინარეობს დოკუმენტების გაციფრების პროცესი, თუმცა, ამასთან



ღირსეული სამსახურისთვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მედლით დაჯილდოვდა ანალიტიკურ-მეთოდოლოგიური და ტერიტორიული ორგანოებთან მუშაობის სამსახურის უფროსი ელგუჯა ჩაგანავა, საარქივო საქმის განვითარებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისთვის აჭარის განათლების,

დამსახურება. 100 წლის ისტორიას ძალიან სათუთად უვლიან და უნახავენ მომავალ თაობას, - აღნიშნა მაია ხაჯიშვილმა.

როგორც თეონა იაშვილმა აღნიშნა, ასე წლის იუბილეს მოსალოცად ბათუმში დიდი დელეგაცია ჩამოვიდა. მან საიუბილეო თარიღის აღსანიშნავად არქივს სამსახურის საჩუქარი გადასცა.

დამსახურებული არქივისტების დაჯილდოების შემდეგ სცენა ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის პირველკურსელებს დაეთმო, რომლებმაც წარმოადგინეს სპექტაკლი-პერფორმანსი - „ხუთი ამბავი აჭარის არქივიდან“ (რეჟისორი - პეტრე ჩარაგიშვილი). სცენარის ავტორს მწერალთა სახლის დირექტორმა ლალი კონცელიძემ დაწერა და, ძირითადად, ქალაქის ისტორიას შეეხებოდა.

საარქივო დაწესებულებაში მეთაურობილი საერთაშორისო კონფერენცია გაიმართა თემაზე „სამხრეთ-დასავლეთი საქართველო (ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია)“, რომელშიც, ქართველებთან ერთად, ბულგარეთის, თურქეთისა და ფინეთის სამეცნიერო დაწესებულებების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

კონფერენციაზე არაერთი საინტერესო მოხსენება წარადგინეს. რეგიონალიზმის კვლევის ინსტიტუტის გამგებობის თავმჯდომარე ლელა სარალიძემ თემაზე „პოლიტიკური სიტუაცია ბათუმის ოლქში დიდი ბრიტანეთის მმართველობის პერიოდში (1918-1921 წწ.)“ ისაუბრა.

- აჭარა, ბათუმი, გეოსტრატეგიული მნიშვნელობის რეგიონია, რომელთაც ყოველთვის ინტერესდებოდნენ უცხოეთის სახელმწიფოები. დემოკრატიული სახელმწიფოს გამოცხადების დროს, ბათუმის ოლქი, სამწუხაროდ, არ გახლდათ დემოკრატიული საქართველოს შემადგენლობაში, ეს იყო ძალიან დიდი ლაქა... მნიშვნელოვანი დოკუმენტები, რომელიც ჩემს მოხსენებაშია მოყვანილი, სწორედ აჭარის საარქივო სამმართველოშია დაცული, - გვითხრა ლელა სარალიძემ.

- სასიხარულოა, რომ საიუბილეო კონფერენციაში მონაწილეობენ სტუმრები უცხოეთიდან - ფინეთიდან, თურქეთიდან. სულ წარმოდგენილი იყო 31 მოხსენება მრავალფეროვანი თემატიკით. ქართულ სამეცნიერო ისტორიაში ეს კონფერენცია აუცილებლად იტყვის თავის სიტყვას, - აღნიშნა თამაზ ფუტყარაძემ.

ჩვენებურმა თურქეთიდან მუსტაფა იაკუტბი (გურამ ხიმშიაშვილი) წარმოადგინა მოხსენება „ქართული ლიტერატურა და კულტურა თურქულ ენაზე“, ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის მეცნიერთანაშრომელმა, ფილოლოგიის დოქტორმა მარიამ მარჩანიშვილმა - „თეთრი გიორგის“ ლიდერის პოლიტიკური კრედიტო.

- მიხარია, რომ გმონაწილეობს საიუბილეო კონფერენციაში. ჯერ კიდევ სადისერტაციო თემაზე მუშაობის პერიოდში ვთანამშრომლობდი არქივთან. მიხარია, ასეთ მნიშვნელოვან თარიღს რომ მათთან ერთად აღვნიშნავთ. აქ დაცულია უნიკალური მასალები, რომელიც, ვფიქრობ, დღის სინათლეზე გამოტანას საჭიროებს. მე გახლავართ ქართული ემიგრაციის მეცნიერ-მკვლევარი. დღევანდელი ჩემი თემა ქართველ გენერალს, რეგულაციონერ ლეო კერესელიძეს მიეძღვნა, რომელიც თავის ოჯახთან ერთად, დიდ საქმეს აკეთებდა ემიგრაციაში. მინდა მივულოცა აჭარის არქივს საიუბილეო თარიღი და მის თითოეულ თანამშრომელს ვუსურვო წარმატებები, - გვითხრა ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის მეცნიერთანაშრომელმა, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა მარიამ მარჩანიშვილმა.



არქივს გამოჩვენებული როლი აკისრია ქალაქის, კუთხის, ქვეყნის ისტორიის წარმოჩენაში. ამ ისტორიას სწორედ არქივში დაცული დოკუმენტები გვყვება.

ცენტრალური სახელმწიფო არქივი დაარსდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების დადგენილებით და მის პირველ დირექტორად დამფუძნებელი კრების წევრი პეტრე გელიშვილი დაინიშნა. მაშინდელი არქივის შენობა ამჟამინდელი მერაბ კოსტავას ქუჩაზე იყო. თუმცა, არქივის დაარსებამდე, საარქივო საქმის ორგანიზების მიზნით, აქ სარგის კაკაბაძე მოვალენს. შეიქმნა ადგილობრივი სამხედრო-საისტორიო კომისია, რომლის ხელმძღვანელად გენერალი გიორგი ფურცელაძე დაინიშნა.

1923 წლის 11 აპრილს აჭარის სახკომსაბჭომ მიიღო დადგენილება განათლების სახკომთან აჭარის არქივის დაარსების შესახებ და ამასთან დაკავშირებით, ოთხი საშტატო ერთეული გამოიყო - ცენტრალური არქივის სამმართველოს გამგე, კლასიფიკატორი, არქივარუსი და კურირი. დოკუმენტების ერთ დაწესებულებაში თავმოყრის მიზნით, არქივში დაიწყო აქტიური საქმიანობა, თუმცა დოკუმენტები სარდაფებში აღმოჩნდა. მაშინ ხელისუფლებამ ვერ უზრუნველყო სათანადო შენობის გამოყოფა. 17 წლის განმავლობაში არქივმა ათჯერ შეიცვალა ბინა. თავიდან კომუნალური მეურნეობის ერთი ოთახი დაეთმო, შემდეგ, ქალაქის საბჭოს ნესტიანი სარდაფი, სადაც ორი სტელაჟი გამოუყვეს, მაგრამ წვიმების დროს დოკუმენტები სველდებოდა, შემდეგ ერთ-ერთი ლიკვიდირებული ლომბარდის შენობა, მაგრამ აქ, ადგილის სიმცირის გამო, დოკუმენტების ნაწილი მიწაზე ეყარა. მოგვიანებით არქივი ქალაქის საბჭოს ორ ოთახში განათავსეს, მერე - ყოფილ არქიტექტორთა სახლში, საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში (1938-1965 წლებში) არქივი, სამწუხაროდ, ღვთისმშობლის შობის სახელობის საკათედრო ტაძარში იყო განთავსებული.

1992 წელს, საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების შემდგომ, ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობის დროს მოხერხდა და საარქივო სამმართველო გადავიდა ვახ-

ერთად, ქალაღფუძიანი დოკუმენტებიც სათანადოდ ინახება და არ ნადგურდება. ეს საკმაოდ დიდი სამუშაო ხორციელდება აჭარის ყველა რაიონში. არქივში, ასევე, 2020 წლიდან ხორციელდება მიწის რეგისტრაციისა და სპორადული გაფორმების პროექტი. თითოეულ განყოფილებას ლომის წილი შეაქვს დოკუმენტების დამუშავებაში, შენახვასა და კონსერვაციაში, ასევე, დოკუმენტების ბუღალტრულ აღრიცხვაში. საარქივო სამმართველოს გააჩნია თავისი სივრცე იუსტიციის სახლში...

არქივში ყველაზე ძველი დოკუმენტი საეკლესიო ჩანაწერები და საგალობლებია, მათ შორის, ქართული, ოღონდ იტალიურად. ბევრი სხვა საინტერესო მასალაცაა, ინახება უძველესი კარბადინი, ბულგარის დაგეგმარების, ქალაქის მოწყობის დოკუმენტაცია...

საზეიმო საღამოზე საარქივო სამმართველოს რიგ თანამშრომლებს სხვადასხვა ჯილდო გადაეცათ.

კულტურისა და სპორტის სამინისტროს ჯილდო გადაეცა სამმართველოს საზღვარგარეთთან, საზოგადოებასთან, მასმედიასთან ურთიერთობისა და გამოყენების, პუბლიკაციის სამსახურის უფროსს, ბსუ-ის პროფესორ თამაზ ფუტყარაძეს, დაკომპლექტებისა და დოკუმენტების სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავების განყოფილების უფროს ნაზიბროლა შარაშიძეს, ქობულეთის არქივის უფროს ნოდარ ზაქარაიძეს, ხელვაჩაურის არქივის ხელმძღვანელ ავთანდილ ლეონიძეს, აჭარის საარქივო სამმართველოს დოკუმენტების რესტავრაციისა და მიკროფილმების განყოფილების უფროს მზეკალა გირიხიძის, დოკუმენტების დაცვის, ინფორმაციის და გამოყენების განყოფილების წარმომადგენელ ცირა თავართქილაძეს, ამავე განყოფილების თანამშრომელ ეთერ ნათელაძეს.

- ის, რომ ჩვენს ქვეყნის არცერთი დღე, ფურცელი არ დაკარგულა, სწორედ მათი

